



ციფრული ბანკის ლიცენზირების პრინციპები

საქართველოს ეროვნული ბანკი, ფინანსური სტაბილურობის და მომხმარებელთა ფინანსური ჩართულობის გაზრდისთვის, ხელს უწყობს ფინანსურ სექტორში ახალი ტექნოლოგიებისა და ინოვაციური მიდგომების განვითარებას. ამ მიზნით, საქართველოს ეროვნული ბანკი რისკებისადმი ტექნოლოგიურად ნეიტრალურ საზედამხედველო მიდგომას და ღია რეგულირების პრინციპებს ნერგავს. აღნიშნული პრინციპები ეროვნული ბანკის [2020-2022 წლების საზედამხედველო სტრატეგიის](#) შემადგენელი ნაწილია. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული მიდგომის ფარგლებში ეროვნულმა ბანკმა უკვე ამოქმედა [ფინანსური ინოვაციების ოფისი](#) და [რეგულირების ლაბორატორია](#).

ამჟამად, საქართველოს ეროვნული ბანკი საქართველოში ციფრული ბანკის ლიცენზირების პრინციპების განვითარებას განიხილავს. ციფრული ბანკის მოდელის განვითარებით ეროვნული ბანკი მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს: ინოვაციური ბიზნეს მოდელების განვითარებას; ფინანსური პროდუქტების მრავალფეროვნებას; დიდი მონაცემების უკეთ გამოყენებას; მომხმარებლის გარშემო არსებულ ტექნოლოგიურ ინფრასტრუქტურაზე მორგებული, მოხერხებული, სწრაფი და ხელმისაწვდომი ციფრული ფინანსური ეკოსისტემის განვითარებას; ღრუბლოვანი სერვისების ეფექტურ გამოყენებას; ტექნოლოგიურ კომპანიებთან ინტეგრაციის გამარტივებას და საბითუმო ბაზარზე საბანკო საქმის როგორც სერვისის მოდელის განვითარებას; ახალი ტექნოლოგიური მოთამაშეების შემოსვლას და კონკურენციის გაზრდას საფინანსო სექტორში. ამავე დროს, საქართველოს ეროვნული ბანკის საზედამხედველო მიზნებია: ახალი ციფრული საბანკო მოდელის ჩამოყალიბების პროცესში რისკების მიტიგაციის ახალი მექანიზმების დანერგვა, კიბერ სივრცეში მომხმარებელთა პირადი მონაცემების უსაფრთხოების თანამედროვე სანდო სტანდარტების განვითარება და სისტემური რისკის და ფინანსური სტაბილურობის რისკის მართვის გაუმჯობესება. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ეროვნული ბანკი სისტემური რისკებში მოიაზრებს მომხმარებელთა უფლებების და მათი ინტერესების დაუცველობას, რამაც შესაძლებელია, პოტენციურად, ფინანსური სისტემის განვითარებაზე და ფინანსურ სტაბილურობაზე უარყოფითი გავლენა მოახდინოს.

ციფრული ბანკის ბიზნეს მოდელი

საქართველოს ეროვნული ბანკი ციფრულ ბანკად განიხილავს ისეთ საბანკო ბიზნეს მოდელს, რომელსაც გააჩნია პოტენციური გაზარდოს ფინანსებზე ხელმისაწვდომობა, შეამციროს ფინანსური შუამავლობის ხარჯი და, ამავე დროს, აკმაყოფილებს შემდეგ

ტექნოლოგიურ კრიტერიუმებს (მათ შორის შეიძლება მისაღები იყოს ჩამოთვლილი მახასიათებლებიდან მხოლოდ რამდენიმეს კომბინაცია):

- ✓ საბანკო სერვისების მიწოდებას ახორციელებს ძირითადად ელექტრონული არხებით;
- ✓ საბანკო სერვისების მოწოდებისას იყენებს ადგილობრივ ბაზარზე მატერიალურად ახალ ტექნოლოგიებს და/ან ინოვაციურ ტექნოლოგიურ ბიზნეს მოდელს;
- ✓ ორიენტირებულია ღია ბანკინგზე და საბითუმო ბაზარზე საბანკო საქმის როგორც სერვისის მოდელის განვითარებაზე;
- ✓ როგორც გარე, ასევე შიდა საბანკო მოდულები დაფუძნებულია API ინტერფეისზე და ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურა ეფუძნება მოდულარულ მოწყობას (მგ. [BIAN Standard](#) - ის პრინციპებით);
- ✓ გააჩნია მომხმარებლის იდენტიფიცირების, ავთენტურობის დადგენის ელექტრონული ტექნოლოგიური საშუალებები და შეუძლია აღნიშნული სერვისის მესამე მხარეებისთვისაც მოწოდება.

ციფრული ბანკის განსაზღვრება არ მოიაზრებს: ისეთ ახალ ფინანსურ პროდუქტებს, რომელიც არ შეიცავს ტექნოლოგიურ კომპონენტს, ასევე ბაზარზე უკვე არსებული ბიზნეს მოდელების უფრო ეფექტიან დანერგვას, სადაც ეფექტიანობა და კონკურენტული უპირატესობა არა-ტექნოლოგიური კომპონენტებიდან მომდინარეობს.

მოთხოვნები ლიცენზიის მისაღებად

განმცხადებელი შესაძლოა იყოს ნებისმიერი იურიდიული პირი, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს შემდეგ მოთხოვნებს:

- ✓ აკმაყოფილებდეს ციფრული ბანკის ტექნოლოგიურ კრიტერიუმებს;
- ✓ შეეძლოს დემონსტრირება, რომ მას აქვს ციფრული ბანკის მდგრადი ბიზნეს მოდელი, რომელიც არ წარმოადგენს მხოლოდ ზოგად კონცეფციას. აღნიშნული გულისხმობს დეტალური და სანდო ბიზნეს გეგმის არსებობას, რომელიც ასევე მოიცავს:
 - დეტალებს, თუ როგორ აპირებს დაინტერესებული სუბიექტი საქმიანობის წარმართვას და სრული ლიცენზიის მისაღებად საჭირო მოთხოვნების ეტაპობრივად დაკმაყოფილებას;
 - ფინანსურ და საოპერაციო მიზნებს, შესაბამის რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებს და ვადებს, რომელთა მიღწევის მიხედვითაც შეფასდება, თუ რამდენად წარმატებულია საქმიანობა.
- ✓ გააჩნდეს საქმიანობის შეწყვეტის გეგმა და სათანადოდ უმკლავდებოდეს ტექნოლოგიებთან დაკავშირებულ რისკებს. საქმიანობის შეწყვეტის გეგმა უნდა ითვალისწინებდეს:
 - იმ გარემოებების ჩამონათვალს, რომელთა დადგომისას შეწყვეტის გეგმა ამოქმედდება;

- მის ამოქმედებაზე და განხორციელებაზე პასუხისმგებელ ორგანიზაციულ სტრუქტურას და პირებს;
 - გეგმის ხელისშემშლელი მატერიალური რისკების იდენტიფიკაციას და მიტიგაციას;
 - მომხმარებელთა და ფინანსური სისტემისათვის შესაძლო შეფერხების მინიმიზაციის მექანიზმებს;
 - არხებს და წყაროებს, რომელიც გამოყენებული იქნება კლიენტებთან ანგარიშსწორებისთვის;
- ✓ გაანალიზებული ჰქონდეს სერვისების ელექტრონული არხებით მოწოდების პროცესში ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკები და მათი მიტიგაციის ღონისძიებები.
 - ✓ აკმაყოფილებდეს საბანკო საქმიანობის ლიცენზიის მისაღებად საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი ბიზნეს და საქმიანობის შეწყვეტის გეგმები უნდა ექვემდებარებოდეს პერიოდულ გადახედვას და დაზუსტებას ლიცენზირების პროცესში ციფრული ბანკის გამართვის პარალელურად.

ლიცენზიის მიღების პროცესი

ციფრული ბანკზე ლიცენზირების პროცესის მიზანია საცდელ და რეალურ გარემოში ტესტირების გზით გამოავლინოს ციფრული ბანკის ბიზნეს მოდელში პოტენციურად არსებული სისტემური რისკები და, ასეთის არსებობის შემთხვევაში, მოხდეს მათი ეფექტური და დროული მიტიგაცია. ასეთის შეუძლებლობის შემთხვევაში, პროცესმა უნდა უზრუნველყოფს საბანკო საქმიანობის დროული შეჩერება. აღსანიშნავია, რომ ახალი ბიზნეს მოდელიდან გამომდინარე ტესტირების შედეგები შეიძლება გახდეს საქართველოს ეროვნული ბანკის საზედამხედველო ჩარჩოს შემდგომი განვითარებისა და დახვეწის საფუძველი. ციფრულ ბანკზე ლიცენზიის გაცემისას, სისტემური რისკების მინიმიზაციისათვის, ეროვნული ბანკი გამოიყენებს სრულ საბანკო ლიცენზიაზე ეტაპობრივი გადასვლის მიდგომას, რაც [რეგულირების ლაბორატორიის ჩარჩოს შექმნისა და მისი გამოყენების შესახებ დებულებით](#) განსაზღვრული პრინციპების მსგავსად გულისხმობს სამი ეტაპის გავლას:

I. პირველ ეტაპზე, ეროვნული ბანკი შეაფასებს:

- ✓ წარმოდგენილი ბიზნეს მოდელის ინოვაციურობას და ციფრული ბანკის კონცეფციასთან შესაბამისობას.
- ✓ საბანკო ლიცენზიის მისაღებად საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობას.

შეფასების შედეგად ეროვნული ბანკი გასცემს საბანკო ლიცენზიას და განსაზღვრავს ვადას ციფრული ბანკის სრულად გამართვისათვის. ციფრული ბანკის ლიცენზია გაიცემა რიგი პირობებისა და შეზღუდვების დართვით, მათ შორის:

- ✓ მინიმალური საზედამხედველო კაპიტალის მოთხოვნის შემსუბუქებით - კომერციული [ბანკებისათვის განსაზღვრული საზედამხედველო კაპიტალის მინიმალური ოდენობის](#) 10%;
- ✓ ლიკვიდობის მოთხოვნების სახეცვლილებით; LCR-NSFR-ის დაანგარიშების ნაცვლად, იანგარიშება ლიკვიდობის გადაფარვის მარტივი კოეფიციენტი, მოზიდული სახსრების პროპორციულად, საწყისი ლიმიტი შეადგენს 100%.
- ✓ შეზღუდვა საბანკო ოპერაციებზე. საბანკო ოპერაციები დაშვებულია მხოლოდ ტესტირებაში მონაწილე ინსაიდერებზე.
- ✓ პირობებით და/ან შეზღუდვებით, რომლებიც ემსახურება სისტემური რისკის შეზღუდვას, და ახალი ბიზნეს მოდელის პოტენციალის გამოვლენას. გარკვეული პირობები შეიძლება მოიცავდეს ბიზნეს გეგმიდან გამომდინარე პირდაპირ, ან სახეცვლილ, საოპერაციო მიზნებს და შესაბამის რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებს.

ლიცენზიის გაცემის შემდეგ, ციფრულ ბანკს შესაძლებლობა ეძლევა დარჩენილი კაპიტალის ეტაპობრივი შევსებისათვის მოიძიოს დამატებითი კვალიფიციური ინვესტორები, კანონმდებლობით განსაზღვრული შესაფერისობის მოთხოვნების გათვალისწინებით.

ჩამოთვლილი მოთხოვნების შემსუბუქების საკითხს საქართველოს ეროვნული ბანკი განიხილავს წარმოდგენილი ბიზნეს მოდელის ინდივიდუალური საჭიროებიდან გამომდინარე.

II. შემდგომ ეტაპზე, ლიცენზიის მფლობელი გაივლის კონცეფციის (ე.წ. proof of concept) ტესტს, რაც გულისხმობს ბიზნეს მოდელის გამოცდას სატესტო გარემოში. ამასთანავე, ბანკმა უნდა წარმოადგინოს:

- ✓ დამოუკიდებელი მესამე მხარის მიერ ჩატარებული შეღწევადობის ტესტი ბანკის სრულ საოპერაციო გარემოზე, უსაფრთხოების სისტემების შეფასება და ქსელის აუდიტის ანგარიში.
- ✓ გამოყენებული მესამე მხარის სისტემების, დრუბლოვანი არქიტექტურის საინფორმაციო სისტემების აუდიტი და რისკების შეფასება.

III. მეორე ეტაპის წარმატებით გავლის შემდგომ, სუბიექტს მიეცემა საბანკო ოპერაციების რეალურ გარემოში განხორციელების უფლება ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული ლიმიტების ფარგლებში, რომელიც, მათ შორის, შეიძლება შეეხებოდეს:

- ✓ დეპოზიტების და მასთან გათანაბრებული კრედიტების მოზიდვას;
- ✓ ლიკვიდობას;
- ✓ რთული ფინანსური პროდუქტების გამოყენებას (მგ. რთული წარმოებული და სტრუქტურული პროდუქტები). აღნიშნული არ გულისხმობს ტექნოლოგიურად რთული პროდუქტების გამოყენების შეზღუდვას.
- ✓ საერთაშორისო ოპერაციებს.

რეალურ გარემოში ოპერაციების დაწყების შემდეგ არაუმეტეს 6 თვის ვადაში ეროვნულ ბანკს უნდა წარედგინოს დამოუკიდებელი მესამე მხარის მიერ ჩატარებული საინფორმაციო სისტემების სრული აუდიტი.

ეროვნული ბანკი ზემოაღნიშნულ ლიმიტებსა და მოთხოვნებს გადახედავს პერიოდულად, ინდივიდუალურად განსაზღვრული ვადებისა და ტესტირების მონიტორინგის შედეგების მიხედვით და დამაკმაყოფილებელი შედეგების შემთხვევაში, მოუხსნის ბანკს დადგენილ შეზღუდვებს, რის შემდგომაც ბანკი გააგრძელებს საქმიანობას სრულყოფილი საბანკო ლიცენზიის შესაბამისად.

აღნიშნული პროცესი შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 3 წლის განმავლობაში. ციფრულმა ბანკმა, დამატებით შეიძლება მოითხოვოს აღნიშნული პროცესის არაუმეტეს 1 წლის ვადით გაგრძელება.

ნებისმიერ ეტაპზე, იმ შემთხვევაში, თუ ადგილი აქვს მნიშვნელოვანი სისტემური, რისკების აღმოჩენას ან/და საოპერაციო მიზნებიდან ჩამორჩენას, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა შეიძლება მოითხოვოს საქმიანობის შეწყვეტის გეგმის ამოქმედება და გააუქმოს საბანკო ლიცენზია.

საკონსულტაციო განხილვები დაინტერესებული პირებისთვის

ციფრული ბანკის ლიცენზიის მიღებით ან/და ციფრული ბანკის ჩარჩოს განვითარებით დაინტერესებულ პირებს განხილვებისთვის შეუძლიათ მიმართონ საქართველოს ეროვნული ბანკის [ფინანსური ინოვაციების ოფისს](#).